

გ ა ზ ე თ ი ს უ ა ს ი

საქონლის მფლობელი

თფილისში და გარეუბანში აღდგენილი: მაგნიტის	მაგნიტის
ერთის წლისა — 7 მან.	— — — 6 მან.
ნახევარის წლისა — 4 —	— — — 3 — 50 კ.
სამის თვისა — 2 — 50 კ.	— — — 2 —
მარტის თვისა — 1 —	— — — 75 კ.
სალონიკის ნომრისა	— — — 15 კ.

რედქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი **განცხადება** სხვა და სხვა ენებზე. უასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივად ასობით გაზეთის სტრიქონზე 8 კაპ., ასო მთავრდება — ასოზე 1/2 კაპ.

# ფრთხილვა

თფილისში — „დროშის“ რედქციის კანტორაში, მელიქიძის და კაპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ამბუნიის სახლში.

თფილისის გარეუბანში მცხოვრებთათვის ადრესი: **Въ Тифлиси. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.**

**ქუთაისში** — ბ. ძალანდარაშვილთან (სასულიერო სასწავლებელში) და ლ. ლოლუასთან (ბაგრატიონის ქუჩაზე ხოჯაშვილის სახლში).

სტორის ორი თვის განმავლობაში შეუძლია უკან მიიღოს თავის ხარჯით სტატია, რომელიც გამოგზავნილი იყო „დროშაში“ დასაბეჭდად, მაგრამ, რომლისაგან მიზეზისა გამო, არ დაბეჭდა.

თუ აუცილებელი საჭიროება მოითხოვს, რედქცია შეამოკლებს, გამოგზავნილ სტატიას და ისე დაბეჭდს გაზეთში.

## საკოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

წელიწადი მთავრდება.

**შინაარსი**  
საქართველო: ღაბრუნებული ჩერქეზები, — სიღნაღი ( „დროშის“ კორესპონდენცია ), — ძველი მაგალითი, — წერილი ამბები. — რუსეთი: შურადღების ღირსი საზოგადოება, — წერილი ამბები. — უცხო ქვეყნები: — საფრანგეთი, — ბერძენი, — ინგლისი, — იტალია, — ამერიკის შეერთებული შტატები. — ნარევი. — ბიბლიოგრაფიული განცხადებები. —

**ვეტონი:** სხელ-სხელი ამბები — აკ. წერეთლისა.

### საქართველო

ღაბრუნებული ჩერქეზები.

შემდეგ დიდი ხნის სეირნობისა ბულგარზე და აღმოსავლეთის ბაღში, სექტემბრის 17-ს, საღამოს მე წარვემართე იარაღისაგან, სადაც თფილისის მახლობლად მომრიგო სასამართლოს წინ მრავალ ხალხს მოყვარა თავი და რაღასაც დასცქერია. აქ იყვნენ დაბნეულებული შარსიდან დაბრუნებული ჩერქეზები. ისინი ყველანი კედლის ძირს ისე იყვნენ მიჯდომულნი, რომ დედაკაცები თითქმის ერთმანეთის ფეხებზე ისხდნენ. არცერთს მათგანს ადამიანის ფერი არა ჰქონდა; ეს ძონძებში გახვეულნი, გაყვითლებულნი და თმაფაფილნი დედაკაცი ისე უმსგავსად და თან შესაბრალოსად მოჩანდნენ, რომ კაცს გულს უწყებდა მათი შეხედვა. მრავალი მათგანი კანკებ გადაშლარტულნი დაუბრუნებლად ისხდნენ, თითქო აქ არა არის რა.

თუმცა ამ გვარი უსიამოვნო სანახაი იყო ეს ხროვა უბედური ხალხისა, მაგრამ მაინც და მაინც მათ მრავალი ქალაქის ხალხი უყურებდა და შინჯავდა თავით ფეხებამდე. თვითონ ჩერქეზებიც უფრო მომეტებულნი ყუ-

### ფელტონი

სხელ-სხელი ანაბი

დიდი ხანია რაც მუთისი გაიტენა ხალხით, მაგრამ ქალები კი ყოველდღე მაინც თან და თან ემატებიან; აესებენ მუთისს, აესებენ ქმრებს და აესებენ... უკაცრავათ, კინაღამ წამცდა... უნდა გადაფაფიჩიხა... აესებენ, აესებენ... ტფუ... რომ ვეღარ მოვიგონე!... აესებენ სანთლებს... საბრალო ქმრები ოხერით ჰკითხვენ ცოლებს: რათ აესებთ მუთისს?

— მისთვის რომ ცარიელია და ცარიელს გაესება მოუხდება, უბასუხებენ ქალები.

— აი გიდი, ქალბატონებო! შენაცვალეთ თქვენს სიბრძნეს. ეს კარგი! ამაში კი იმართლეთ თავი, მაგრამ ჩვენ რომ გვაესებთ, იმისას რას გვეტყვიან? თქვენი გამოწყობა სისხლათ და კრემლებით გვიჯდება!

— აი არ ვაესებთ, ვაკეთებთ? . . . . . და თქვენ კიდევ ვერ მიხვდარხართ: მორთვა-მოკმაზეა გამოგაჩინეს, ალგამალღებს . . . . .

— შენაცვალეთ თქვენს დედაკაცობას, ამაშია იმართლეთ თავი, მაგრამ სანთლებს რომ აესებთ, იმისას რაღას გვიბრძანებთ?

რადღებით და გონება-შემოკრფით უცქეროდნენ ქალაქელებს, მაგრამ ისეთი კრძალვით და შიშით, რომ გონიერი კაცი მათ პირველ შეხედვასვე იმ მგლისაგან დამფრთხალ ცხვრის ფარას შეადარებდა, რომელიც შიშისა გამო ერთად შექუჩდება ხოლმე ყურების ცქვეტით. მონება-გამოკრძმული მდგომარეობა ეგონებ იმისთვის მიეღობო, რომ უნდაოდა თავის მხრით წაეკითხნათ ჩვენს პირის სახეზე, ხომ არა ვჯავრობთ, რომ ისინი გერ გავეყარნენ, აიღეს თავისი ბაგი-ბარხანა და გადასახლდნენ მსმალეთში, სადაც შეუქამიათ ყველაფერი, რაც კი ებადათ, და ახლა მშვიტ-მწყურვლები, გღრბებულნი და გადატაკებულნი დაბრუნებულნი ისე უწონდნენ თავის სამშობლოში, და თავიანთ სიღარიბით ახლა ჩვენ გვაწვევიან კისერზე. ამ გრძნობისთვის პისუხის მისაცემათ ჩვენი ქალაქის ხალხი მათ უზიდავდა პურს, ხორცს და ხილს, დიდკაცობა და ჩინოვნიკობა კიდევ თავის მხრით ფულს ურეგებდა. ამ გვარი სტუმართ-მოყვარება მათ ძალიან ახარებდა, რომელსაც გამომეტებულად მათი ჩამოღრუბლული, მეტის-მეტის მწყურვლებისა და ვაი-ვაი-გლანისა გამო, პირის სახას განათლება და ღიმილი. როგორც მე ვატყობდი, ეს საჩუქრები იმთ გონებას უზრდიდა, აღვიძებდა და აგრძნობინებდა თავის ქვეყნის სიყვარულს. . .

ამ დროს მე ერთ ადგილას გაყუჩებული ვიდექი და თვალს ვადევნებდი იმთ მოძრაობას და ვკითხულობდი მათ პირის სახეზე შინაგანს გრძნობას.

ამ უმეტრებისა, გარემოებისა და ჟამთა ვითარებისაგან დარწმუნებულნი ჩერქეზებმა ნახეს და დარწმუნდნენ, რომ მათი მოძმე ქვეყანის ხალხი არამც თუ იმთ არ უწყობდა, არამედ

წინ მიეგება, პირში ჰკოცნის, ულოცავს მშვიდობით დაბრუნებას და ლუკმა პურს აწვდის. მაგრამ ვაი ამ გვარს დაბრუნებას და მშვიდობას!

არცერთს იმათგანს ადამიანის სახე აღარ ვეტყობოდათ; ისინი ყველანი გლახებსა ჰგავდნენ და პირის სახეზე ვაი და ვაგლახი, ბოლა და ტანჯვის მეტი აღარა ეცნობოდათ რა. მტყობობოდათ, რომ მომეტებული მწყურვლებისაგან მათში კაცურ გრძნობებს ღრმა ძილით დასძინებოდათ; ისინი ამღვრული და ცრემლიანი თვალებით და კისრის და ყელის აქა-იქ გვერღზე გადაქნევით, რაღაცა მოწყობების და შესაბრალებლის თხოვნის სახით იტყობოდნენ.

ამ გვარმა სანახაემა მე დიდხანს მიმფთოთა გული, ურიცხა ჩემს თავში ათი ათას ნაირი ფიქრები . . . . .

ამ დროს უცერათ გვერდით მომიდგა ერთი ჩერქეზი და დამიწყა თავის სიღარიბეზე ლაპარაკი და მოწყობების თხოვნა. მე ვიდრე მას თხოვნას აუსრულებდი, დაუწყე თათრულს ენაზე გამოკითხვა მათი გადასახლებისა, დაბრუნებისა და ცხოვრების გარემოებებისა.

— „მაი იმ წასვლა-მოსვლასა და ცხოვრებას, რაც ჩვენა ენახეთ მსმალეთში, სთქვა იმან, რაც კი რამ გვებადა: ფული, ხარი, ფური, კამბეჩი—ყველაფერი შეტყამეთ და შემდეგ, რადგან მსმალეთმა სანახე-სათესი მიწები არ მოგვეცა, შიმშილით ვიხოცებოდით ცოლ-შვილით და ამისთვის წამოვედით ისევე ჩვენს ქვეყანაში. მხლა აქა ვართ ამდამისთვის დაბნეულებული, რომ ხეალ ბილეთი უნდა გამოვართვათ მთავრობას და წავიდეთ ღალესტანში; იქ მაინც ენახეთ, ვთესაეთ და იოლათაეც წავალთ. ჩვენთვის ისევე ღალესტანი

სჯობია: შიმშილით მაინც არ დაგვეხოცება ცოლ-შვილი, რომელთაც, აი უყურე, რა გვარი კედრის ფერი აქვთ და სასირცხვილოთ ძონძებში არიან გახვეულნი.“

ამის შემდეგ მე ვაჩუქე გროშები და გავისტუმრე.

მეორეს დღეს დილით, სექტემბრის 18-ს, მე ისევ აღრიანა მივმართე გუმბინდელ ადგილას, რომ რა არის უფრო დაწვრილებით და კარგათ შემეტყუა მათი გარემოება. შევლანი იქვე დამხედნენ, რაზედაც მე გავიხარე, მაგრამ ახალ სანახაეებზე ხელ-ახლაე ამემღერა გული: ისევე ტანჯვა ჰქონდათ ყველას გამოხატული სახეზე, დედაკაცებს ისევე ხორცი უჩანდათ დაფლეთილს ძონძებში, ისინი წამოწვდარიყვნენ მზეზე და როგორათაც გამოწვფულზე ქათმებმა იციან ხოლმე ღობის ძირას მზის სხივზე მტვერში ბანაობა, ქექვა და დახილვა,— ისრე, ამეღელ ჩამეღელებისთვის დაურიდებლათ, იხილებოდნენ, რომ რა არის მოიშორონ ადამიანის შემაწვფებელი მწყრები... მე მივედი ერთ ჩერქეზთან და ვკითხე:

— რამდენი კომლი დაბრუნდით მსმალეთიდან?

— ასამდი ვიქნებითო, მიპასუხა იმან, — მაგრამ აქ ახლა ოცდა ათი კომლის მეტი არა ვართ; სხვები აი ქვეით წყლის პირას ჩამომხდარნი არიან, მთავრობის ზახისკას ვუცდით; საცაა იმასაც მივიღებთ და წავალთ ღალესტანში, და საცა გვიბძანებენ, იქ დავსახლდებით.

— მონათლაც რომ საჭირო იყოს მაშინ, რაღასლა იტყვიან? ვკითხე მე.

— რასაც გვიბძანებენ, ყველას შევასრულებთ, რაღაცა ორპირობით და ლაქლაკით წარმოსთქვა, და მიაშვირა თითი ერთ ძალიან მოხუცებულს ბებერს, დაღმეჭილს დე-

ნებენ, ხელსაც არ გამძრევენ და ბოლოს კი ფაცი-ფუცობენ. მაგალითად, საღდგომო ტანისამოსს, თუმცა მთელი დიდი-მარხვა წინ უდევთ, მაგრამ მაინც დიდს პარასკევსა და დიდს შაბათს აფაცვებენ და შიშით: ვაი, თუ ვერ მოვასწროთო, სიმწარის ოფლს იღენენ.— ისე დავმართათ ამ შემთხვევისათვისაც!.. მეტის-მეტის სიჩქარითა და ფაცა-ფუცში ნეესით იხველიტებიან! . . . . .

მეორე შესანიშნავი ღირსება ის გამოიჩინეს, რომ ზოგიერთი სოფელში გაზდილი ქალები, ხელ-საქნარობის ვარდაც, ქართლის ცოდნით და ნიჭიერის წერა-კითხვით იხენენ თავს; მე მისთანა სწავლულ ქალებზედ კი არ მოგახსენებთ, რომელთაც ანა—ბანა დაუწყევით და გან—ღრნამდი მიუწყევით, არც იმათზედ, რომელთაც მხოლოდ ყარ—სანამდი ჩასულან და არც ჰაი—ჰომეო ჩასულან,— არა; მე მოგახსენებთ იმ ქალებზედ, რომელთაც ეტყობათ ნამდვილი ქართველ-ქალობა. ამ გვარი ქალები კი უმეტრები სამეგრელოდამ ამოვიდნენ! მართმა ამ ქალთაგანმა მითხრა უცხო სიზმარი, რომელიც ზედიზედა ენახა სამს ღამე: ვითომც ერ თს დღის ძაღლები დაჰფრენდნენ ჰაერში მერცხლებივით და ბოქაულები დასდევდნენ დასაჭერათ.

— რას დასდევთ მაგ ჩიტებს? დიდიხანია

მეჩიტობა დაიწყეთო? ვკითხა ამ ქალს.

— ჩიტებს კი არ დაესდევთ, ღეჩაქის კულებზედ განჩინებები არიან გამობმული და იმას დაესდევთ დასაჭერათო.

შეშინებოდა იმ ქალს, ავარდნოდა გულის ძგერა და დღესაც ექიმს დაეძებს!.. მქიმიც ის იქნება, ვისაც . . . . . აქეს!

მაშ ალავერდი მოშას და შალომას! . . . მაშინ ჩვენებურმა ზოგიერთ ქალებმა ეს ლექსები უნდა იმღერონ:

რათ მინდოდა სითერთე?  
მყოფილეთვე მოშავო!  
და თქვენ კი არ გამეცნეთ,  
შალომაე და მოშავო!

—

მოკლე ხნით რათ მინდოდა  
მკობილეთ, შლიეთი,  
თუ აწ მაინც დიდ-ხნობით  
მამეკარგის ქეთი!

—

მაგრამ ჩემი შეღომაეც  
მოიტანა ალომა,  
და მით გამებატონა  
მე მოშა და შალომა!

—

იტროს ჩემმა ქმარმა,  
ბელეგმა და კალომა!..  
მაი, რამდენს იტინებ  
ჩვენზედ მოშა, შალომა!..

აკ. წერეთელი.

კათილი მავალითი.

ქართული

პარტი ხანია რაც შეეცა... ჩვენებურ ტირილს, უმეტეს იმ მიზეზით, რომ თქვენი უმორჩილესი მოსამსახურე ყოველად უფუროა ამ მეცნიერებაში, მაშინ როდესაც ეს საქმე თხოულობს დიდ დახელოვნებასა და გამოცდილებას. ამასთანავე მე სრულიად არ თანაუგრძობ იმ წესს ტირილისას, რომელიც ჩვენში შემოდებულა და რომელსაც ისრე მაგარად მოსკიდებიან ქორტოხს გადამღელი ქართველები, როგორათაც წყაღში ჩაფარდნილი ადამიანი მოგვიდება ხოლმე რაიმეს, რაც ხელში მოხვდება, ანუ რა რიგათაც ამას წინეთ ჩასციებიყვნენ ყმებს, რომლებსაც არაგზით არ ანებებდნენ თავს, სანამ მთლათ ხელიდამ არ გამოაცალეს. მადლობა უფალს! ეს ერთი უფუროება მოისპო, მაგრამ რჩება კიდევ სხვა უფუროება რადგანაც ის არის ადგილობრივი (მხოლოდ ქორტოხს გადაღმელი) და ამისთვისაც უფრო სასაცილო და სასიყრცხო.

ამ უქნასკნელ ჩემი ზურითდამ წამოხელის დროს, ერთ ჩემ მახლობელ ნათესავს, თავადს იასე ზურთელს, მოუყვდა ცოლი, სადაც მე ვალდებული ვიყავ დავსწრებოდი ყოველის უარის უთქმელად და მიზეზ შემოუტანელად. თქვენ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რანაირს მუხარებში ვიქნებოდი ჩაფარდნილი: ტირილი მე არ ვიცი; რომ არ მეტირნა, მთელი ხალხის სალაპარაკოდ უნდა გაგმხდარიყავ, თუ მეტირნა და ტყუილების რეჩი გამოუტყებოდა ან ცრემლები ბერი არ ჩამოშვივნიყვენ, შენი მტერია, მე ლექსებს დამიწერდნენ და ჩონგურზე დამამღვრებდნენ. მათის სიტყვით, საშინელება იყო ჩემი მდგომარეობა: რა მექნა; აღირ ვიციოდი! ამ ფიქრებისაგან ჩაგდებული ღრმა დარდებში, ისე ვწყველიდი ვეროპიელებს, რატომ ერთი სისტემა არ გამოგონეს ამაზედაც, რომ შემესწავლა და მეც ჩვენებებით, ტურების მზავსად დამეყვავლა ყოველს კუბოზე.

მაგრამ, სასიამოვნოდ ჩემდა, მე ვპოვე ჩემი ნათესავი კაცისას სულ სხვანაირი წესიერება. აქ იყო ევროპული გამოცეცება მიცვალებულის გვამის და არა ჩვეულებრივი თმების წყაღაღირალი. მართალი უნდა მოგახსენოთ, ისეთ რიგათ გამამხიარულა მე ამ წესიერების შემოღებამ, რომ კინაღამ ურა დაეიძახე და მიტირების მაგიერად, მადრიელებით სავსემ გარდაეხევიე ჩემს ძმა კაცს ყელზე. მამოსეცემა მიცვალებულის მე ამაზედ უდიდებულესი ძვირად სადმე მიხანავს. 19 აგვისტოს, თორმეტ საათზე შუადღისა, მსურგეთის ქალაქის ეკლესიადამ გამოიტანეს კუბო, რომელსაც წინ მიუძღოდნენ ორი ეპისკოპოსი (იმერეთის და ზურთისა,) თავიანთის კრებულებით; მათ მისდევდა მუზიკა, შემდეგ მიჰქონდათ კუბო უპირველეს პირებს ზურთის აზნაურობისას. მუბოს უკან ორასზე მეტი თმა-გაშლილი ქალები და ზამთ მიჰყევიდნენ, ორი ათასამდის თავდაზნაურობა და მოქალაქეები. ამ ნაირის პატივით მიეასვენეთ მიცვალებული ს. ბაილეთს, რომელიც მდებარებს ექვს ეგრსზე (მსურგეთიდან, სადაც იმყოფება თავადი პასე ზურთელის სასაფლაო, ანუ ეკეტერი (სენი.) აქ დავიხევე და ჩვენ დიდთ მრავალი ხალხი ორივეს სქესისა, გარშემო სოფლებიდან მოგროვებულენ, და საღილი ყველასთვინ მზათ, რომელზედაც შემდეგ მიცვალებულის დასაფლავებისა კიდევაც მიგვიწვიეს.

მაება ტურთად მოწყობილს ეზოში, ორ ეტყინანი ქვის სახლების ძირას, მარცხნივ მხარეზე, იყო გამართული სუფრები ხალხისა და გლახებისათვის, რომლებთაც უხვად უზიდიდნენ ყოველ ნაირ საქმელებსა და ღვინოებს; იმათი სუფრები ისეთ ნაირათ იყვნენ დადგმულები, რომ თვითონ და თვითონ სოფლის ხალხი ისინდენ თვითონ გრუბებთ და ყველანი

დაკაცზე, რომელსაც კედლის ძირას მზეში, აეთმოფის სახით მწუხარებდაგან გაქელილს, ქურქზე თავი დაედო, იწვა და ეძინა,—და სთქვა: მაგას რა სარწმუნოება ექირება!!

ინგილო ჯანაშვილი.

1871 წელსა

20 ნოემბერი.

სიღნაღიდა

„ღროების“ კორესპონდენცია

უფ. რედატორო, გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენის „ღროების“ საშუალობითა, უფ. ი. ბოდბელის და ინგილო ჯანაშვილის უკანასკნელ კორესპონდენციებზე ორიოდ სიტყვა ვსთქვა; აგრეთვე იმ ზედმოქმედებაზე, რომელიც ამ კორესპონდენციებმა სიღნაღის საზოგადოებაზე იქონიეს. ჩვენი სიღნაღის ცხოვრებაზე და მდგომარეობაზე ბერი რამ ითქმის იმას გარდა, რაც ზემოხსენებულ თქვენ კორესპონდენტებმა სთქვეს. მაგალითად სიღნაღის სიაფეზე ითქმის, რომ ეს ყოველთვის არის, გარდა იმ დროისა, როდესაც სიღნაღის სიღნაღის ოღრო-ჩოღროებზედ მაგრამ ეხლა სიღნაღი სულ გასწორებულია და კიდევ ასწორებენ, გარდა იმ ადგილებისა, სადაც კორწოხები არის და არა სწორდებიან. მაქრობაზედ? მაქრობა სენინდისიანია, თუ არ იქცევიან იქაური ვაჭრები უსენინდისათ. სულ ყველაზედ უკეთ მიდის აქ ფულის სესხება: სარგებლობა კრედიტითა მეტის-მეტია და დაუჯერებელი; იფიქრეთ, თუჰნანს ფულს წელიწადში მოაქვს თორმეტი მანეთი სარგებელი, ნამეტნავთ „ღროების“ მკითხველების ნაცნობს კანტორაში. ასე რომ, იფიქრეთ, თუჰნანი რომ ათ შაურათ იშოვნო თვეშია, დიდი სიკეთე და სახარბიელო საქმაა!! მაგრამ, უნდა გითხრათ, რომ ფულის ამღებლებიდანაც კი დიდი თვალ-დათვალ მატყუარობა არის და ვერაგობა. შოველი ფულის ამღები ცდილობს, რომ როგორმე მოატყუოს ფულის გამღები-კრედიტორი. ზოგი მოვალე ატყუებს კრედიტორს, რომ არ იცის წერა და თამასუქზედ სხვას აწერინებს თავის მაგიერათ ხელს, თუშეცა კი თითონ კარგათ იცის წერა, ცა და კითხვაც; ეს ამისთვის, რომ მეგრე, სულში, უკეთუ უჩივლა კრედიტორმა, გაამტყუნოს, რომ ფული არ მართებს და უკეთუ ემართება, იმისი ხელიც ეწერება, რადგანაც თვითონ კარგათ იცის წერა. ზოგმა იცის წერა, მაგრამ სხვა ხელზედ აწერს ხელს და მეგრე ამბობს, თუ იმისი ნაწერი არ არის, და დასამტკიცებლათაც ადგენს თავის ნაწერს, დამტკიცებით ამბობს, რომ, რადგან ეს ხელი იმისი არ არის, ამისთვის არც ფული მართებს რამე იმასა ნაჩვენების ბარათითა. ზოგმა კიდევ წერა სულ არ იცის; მაგრამ ატყუებს კრედიტორს, თუ იცის წერა და მას მიუტანს დაწერილს თამასუქს და ისე მიიღებს ფულს; კრედიტორიც ვნდობა და აძლევს ნებას, რომ იმან დაწეროს თამასუქი შინ სახლში და ისე მიუტანოს და ფულსაც მიიღებს თამასუქის მიტანის დროს; მოვალე მიდის შინა, აწერიანებს თამასუქს სხვასა და ხელს აწერიანებს სხვასა, რომ რა არის, მითომც იმან ცუდთ იცის წერა და იმითომ მართა ხელი მოაწერა. ბოლოს მიდის და სულში უარს უმერება, რომ ფული არ მართებს, რომელიც სჩანს იქიდგან, რომ მის მაგიერათ ხელს არავენ აწერს და იმან კი სრულებით არ იცის წერა. მსეთი ოინი დიდი ხანი არ არის ერთმა ჰაოსიანის სარწმუნოების კაცმა უყო მართლ-მადიდებლის სარწმუნოების პირს, ისიც სასულიერო წოდებისას. თუ წიგნის მცოდნე კაცი ვსე მოატყუეს, ახლა რას უზამენ უმეცარსა და წიგნის არ მცოდნე გლეხსა. მოგვიყვანთ ერთ მაგალითსა, რომელიდანაც ძრიველ ცხადდ შეგიძლიანთ გასაჯოთ სიღნაღე-

ლი ვაჭარი: მათ სიღნაღელს ვაჭარს ეყიდნა ქართველი გლეხიდან საქონელი რამდენიმე თუმნისა. მაქარს მიეცა ბეთი რამდენიმე ფული და ოთხი თუმანი ზედ დარჩომოდა, რასაკვირველია, ფულის უქონლობისა გამო. მართველი ნდობოდა მას ბარათზედაცა, ეთქვა, ბარათი მომეცო და ამოვალ და სიღნაღში მივიღებ ამ ოთხ თუმანს ფულსაო. მაქარს ესარგებლა გლეხის წიგნის უცოდინობა, და რაღაც ნაგლეჯ ქალაღზედა, სესხის ბარათის მაგიერ, „მამოა ჩვენო“ დაწერა. ბლებმა ამოიტანა ეს თამასუქი და სთხოვა კმაყოფილება; ვაჭარმა კმაყოფილების მაგიერ კარგათ შეამკო და უძახა კარში. ბლებმა იჩივლა მომრიგებელ სასამართლოში; დანიშნეს ვაღა, დაიბარეს, გამოცხადდნენ ორივე მოდაგენი. მოსამართლემ თავის დახელოვნებით, მოახდინა ისე, რომ ის ოთხი თუმანი, შემდეგ რამდენისამე უარისა, მოატანინა სომეხს სასამართლოში და ის ქალაღი „სიყალბისათვის“ გარდასცა გამომძიებელს. მსე და ამ რიგათ ექცევიან სიღნაღელი ვაჭრები განსაკუთრებით ქართველ გლეხებსა და ხან აზნაურებსაცა და თავადებსაც. ამისთანა შემთხვევები აქ იშვიანთი არ არიან...

მაგრამ, მე ძრიველ შორს წავედი; ამაზედ, უეჭველია, შემდეგშიაც არა ერთხელ გვექნება საუბარი. მხლა ვი თქვენის კორესპონდენციების მოქმედებაზედ ორიოდ სიტყვას გეტყვით. მაგრამ ჯერ სიღნაღის ბულვარი უნდა გავაცნოთ; სიღნაღში არის ბულვარი ენით გამოუთქმელი და კალმით აუწერელი. მას შემადგენს ოთხკუთხიანი ქარვასლის ბანები, რომელნიც ეკუთვნის ერთ სიღნაღელს მოქალაქეს და მოახლოვებით უძევს მეიღანი, სადაც ჰქვიდა სასწორიცა... შოველს „საზოგადო საქმეზე“ აქ არის გაცხარებული ბაასი, აქ არის გაცხარებული კაშკაში და ხარხარი! ხომ მოგვხსენებთ, პატარა ქალაქში პატარა საზოგადოება დიდი რამ არის? მეგრე ისიც საღური საზოგადოებაა!! აბა აქ იყო, აი სჯაცა თქვენ კორესპონდენციებზედა 30 აგვისტოსა და 1 სექტემბერს.

ჯერ ისევ წირვა არ გამოსულიყო, რომ უფ. ბოდბელისა და ინგილოს კორესპონდენციები სიღნაღიდან, დაბეჭდილნი „ღროების“ მე 33 და 34 №-ში, იკითხებდნენ აქ საზოგადოდ სიღნაღელების ყრილობაშია.

უნდა მოგახსენოთ, უფ. რედატორო, რომ გზნების კითხვა სიღნაღშია, ნამეტნავად მეიღანზედა და ისიც ქართულს ენაზედა, შეადგენს იშვიანთს და სამაგალითო მოვლენასა. აქაური მცხოვრებნი არ არიან მაგრე რიგათ გზნების კითხვის მონატრენი, რადგან, მათის ჰაზრით, მასში ვერაფერს ჰპოვებენ თავის-თავისთვის რასმე სარგებლობასა; ამათ ჯერ არ სცალიანთ გზნების კითხვისათვის: სიღნაღელების გონება, ჰაზრი, გულის-ყური, თანხმად კორესპონდენციებისა, გართობილნი არიან ფულის მოპოვებაში, გინდ უკანონოს სახით; ესენი ზრუნავენ იმასა, თუ როგორ მოახერხონ მომეტებული სარგებლის აღება, რომ უკანონო ქცევით, განშავლობაში რამთენისამე დღისა, კვირისა და თვისა, ვინ იტყვის წლისასა, აქციონ თავიანთი კაპიტალი ერთი ორათა და სამათა. პრ იფიქროთ, რომ უკითხველობა გზნებების ზღება უცოდინარობისა გამო წერა-კითხვისა ანუ სისაწყლისა, არა; აქ არიან მომეტებული ნაწილი საზოგადოებისად თითქმის ყოველნიც მცოდნენი წერაკითხვისა, ნამეტნავათ ქართულს ენაზედ; აქ იპოვიან მრავალი ძრიველ შემძლებელნი, რომელთაც შეუძლიანთ ყოველს წელს გამოაწერა კურნალებსა და გზნებებისა ათეულობითა. მაგრამ, საუბედუროდ ჩვენდა, ძნელათ იპოვიან და თითქმის ვერც იპოვიან ისეთ პირს ვაჭრებდგან და მოქალაქეებიდანა, გარდა სასამართლოებისასა და მათ შინა მოსამსახურეთ მოხელეებისასა, რომ იწერდნენ რომელსამე

კურნალს ან ვაჭრის. ამისთვის ამათ არ იციან რა არის ვაჭრით, რა არის კურნალი, რა მნიშვნელობა აქვს ამათ საზოგადოებისთვის, რისთვის გამოდიან და რა სარგებლობა მოაქვთ? ეს გეტყვობდა თვით იქიდან, რომ არ გავა მიწიტვი, რომ არ ლაპარაკობდნენ აღნიშნულს კორესპონდენციებზედა ცუდის მხრითა და კიდევ არ უკურთხებდნენ შწერლებსა... ამ კორესპონდენციებმა სწორეთ გამოადიდეს ესენი. ამათში მათ ნახეს სიმართლე, ნახეს, რომ ყოველშივე იქ აწერილში იპოვებოდა ნაპერწკალი სიმართლისა. სიღნაღელებს ენიშნათ აღწერილი იმა კორესპონდენციებშია და კიდევ ჩაეკრათ ძრიველ გულშია უნდოდათ დაემშვიდათ გული და გაეკარვებინათ გულის ბროტებანი, გარნა გასაქარვებლად და დასამშვიდებელს ვერარას ჰპოვებდნენ, გარდა თვით ისევე ამა ვაჭრისა და იმა კორესპონდენციების კითხვისასა. ისინი სტაცებდნენ ერთმანეთს ხელში ამა ვაჭრისა და ისე ფაცა-ფუციით კითხულობდნენ მეიღანზედვე; „ღროება“ გადადიოდა ხელიდამ ხელში მთელს კვირასა. მათი ყმაწვილი კაცი დილის რვა საათიდგან ვიდრე მეორე საათამდის იჯდა და კითხულობდა; საწყალი დასვეს მოქალაქეებმა, თუ შენ ჩქარა კითხულობო, და აღარ ააყენეს. მეორე ადგილას ერთი მღვდელი კითხულობდა, მესამეს ერთი ვაჭარი და სხვ. მათი სიტყვით, ამ კვირაში, სადაც არ გაიხედავდით, ყველგან ამ კორესპონდენციებზე იყო სჯა და ბაასი. მათი ამბობდა, გვიჩივიან და ვაი თუ სულში გამოგვიხმონო, მეორე ამბობდა—ღმერთმანი, მართალს ამბობენ, რასაც სწერენო, მესამე ემდურებოდა კორესპონდენციას მისათვის რომ ყველაფერი არ ჩაუწერიათო: თითო ძირს ვაჭს რომ ხუთ-ხუთი მევალე სომეხი ძირს უზის, ის რატომ არ დაუწერიათო და სხვ.

ამ რიგათ სჯიდნენ ჩვენი კურთხეული-შვილები სიღნაღელნი! მსრეთი შერყევა და ამბები მოახდინეს თქვენი „ღროების“ კორესპონდენციებმა. ისეთი შერყევა და გაოცება არ მოუხდენია ფრანკულებში სედანის გმირის თავის დაკვრასა პრუსიელებისადმი და მარშლის ბაზენის დამორჩილებასა... ამ კორესპონდენციებმა გათქვეს თქვენი ვაჭრით სიღნაღშია და მის უეზღშია; ეხლა ვაიგვს, რომ არსებობს ვაჭრით „ღროება.“ კორესპონდენციების კითხვის დროს უარესი მაგალითები მოიგონეს ზოგიერთებმა; მოიგონეს ერთი გლეხი კაცი, რომელსაც, ვაჭრების დროს, ერთმა სომეხმა ერთი მანეთი ასესხა იმ პირობით, რომ სადღგომოთ სარგებელში ერთი ბატკანი მოეყვანა; გლეხი მეტი გზა რომ არა ჰქონდა, დაყაბულდა ამ სარგებელზე და ამ წელიწადს მოუყვანა სადღგომოთ ერთი ბატკანი, მაგრამ ფული კი ვერ მისცაო; ვგონა, არაფერიო, როცა ვაშოვნი მიესცემო. მეორე წელიწადშიც სადღგომოთ ისევე მანეთის სარგებელში ბატკანი გამოართვაო, მაშინაც ფული კიდევ ვერ მისცა გლეხმა და თქვაო, ფული რაღა მიეცეო, ერთ მანეთში ორი ბატკანი გამამართვაო, რომლებიც სამ მანეთამდის ღირდაო. მაგრამ კიდევ მოტყუებდა: მესამე წელსაც კიდევ სარგებელში ბატკანი გამოართვესო. მეოთხე წელშიც და მეხუთე წელშიც კიდევ სადღგომოთ ისევე იმ მანეთის სარგებელში თითო ბატკანი წართვაო. მსე, ერთი მანეთის სარგებელში ხუთ წელში ხუთი ბატკანი წართვესო და შემდეგ ის მანეთი ფულიცაო, რომელიც გლეხმა, ძლიერ შეწუხებულმა, მიუტანა და უთხრაო: აბა! შენი მანეთიო და ღმერთმა იმ სამართლით გიშველოს, როგორც შენ მე მომექცეო!...“ არც მღვდლებს უტყვევს თავი: ამათხედ სთქვეს, რომ არც ესენი დაიწუნებენ მომეტებულს სარგებელსაო, თუ შეხედებთო. მა კიდევ რამდენი სხვა იყო ლაპარაკი და სჯა; მაგრამ მე სულ რომ ავსწერო, ბოლო არ ექნება ჩემს ნაწიბობსა...

მთარ ზვერდაძე

# უსსო ქვეყნები

საზარანგეთი

ნემცების ჯარები 20 (8) სექტემბერს გაი-  
დნენ პარიზის ფორტებამ და ოთხი დეპარ-  
ტამენტიდამ, და ამის შემდეგ ეს ფორტები  
და დეპარტამენტები საფრანგეთის მმართველ-  
ობის სრულს მფლობელობაში დარჩა. მო-  
კლე ხანში, კონტრიბუციის კიდევ ერთი ნა-  
წილის გადახდის შემდეგ, ნემცები კიდევ ექვ-  
სი დეპარტამენტიდამ უნდა გასულიყვნენ,  
მაგრამ აქ ერთი შემთხვევა მოხდა, რომელ-  
მაც შეაჩერა ეს საქმე: ნემცებმა, სანამ ამ  
ექვსი დეპარტამენტს დასტოვებდნენ, კონტრი-  
ბუციის გარდა, მოსთხოვეს საფრანგეთს, რომ  
მოსწავლიდა და ლოტარინგიდამ შემოტანილ  
ჩენსაქონელს ბაჟს ნუ დაადებთ. საფრანგეთის  
მმართველობამ უპასუხა ამაზე, რომ მან უნდა  
ჩვენ საქონელს დაეღება ბაჟი მოსწავლისა და  
ლოტარინგიას. გერმანიის მმართველობა  
ამაზე არ დათანხმდა და ამის გამო საქმე შე-  
ჩერდა. ზოგიერთი ვაჭრების იმედი აქეთ, რომ  
ეს უთანხმოება მალე მოიხსნება და საფრან-  
გეთი ამ ნაირთა ნემცების ჯარისაგან მალე  
განთავისუფლდება. ამ შემად საფრანგეთში  
ყველაზე მომატებული ლაპარაკი ამ საქმეზე-  
დაა. საფრანგეთში ჩაყენებული ნემცების ჯა-  
რები ფრანკულს თავის დამცირებას, ქვეყ-  
ნის აოხრებას და შერცხვენას აგონებენ, და  
ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ იმათ  
მოშორებას მოუთმენლათ მოკლიან.

მკითხველმა იცის, რომ ნაციონალური ძრე-  
ბა დათხოვილია და 4 დეკემბრამდე არ შეი-  
კრიბება. თავის მაგიერათ ძრებამ კამისია ამო-  
არჩია 25 კაცისაგან, რომელთაც სახელმწი-  
ფო საქმეები უნდა განაგონ. მაგრამ, რო-  
გორც ვაჭრებში სწერენ, ეს კამისია ძალიან  
იშვიათად იკრიბება და ზარმაცათ მიჰყავს საქ-  
მეები. ნაციონალური ძრების დაშუტატები კი  
თითქმის ყველანი შინ, პროვინციებში, წაი-  
დნენ თურმე, იმისთვის რომ თავიანთ ამო-  
რჩევლებს დაეკითხონ და იმათ დარიგებისა  
დაგვრათ ილაპარაკონ და მოიქცნენ როცა  
ნაციონალური ძრება ხელახლად გაიხსნება.  
მაგრამ საფრანგეთის რესპუბლიკელებში ამ ქა-  
მად დიდი მოძრაობაა; ისინი სცდილობენ,  
რომ ახლანდელი ნაციონალური ძრება ხელ-  
მეორეთ აღარ შეიკრიბოს და დეკემბერში ახა-  
ლი ამორჩევები იქნეს დანიშნული. მმართვე-  
ლობას ხშირათ მოსდის ათასი ფრანკულისა-  
გან ხელმოწერილი აღრესები, რომელშიაც  
ისინი ამ თხოვნას აცხადებენ. არც მმართვე-  
ლობას, არც საზოგადოთ ნაციონალურ ძრე-  
ბას და განსაკუთრებით იმის მარჯვენა მხრის  
წევრებს (მონარხიელებს), რასაკვირველია, ეს  
ავიტაცია არ მოსწონთ; ასე რომ მთავრობამ  
პრეჭეტებს ბრძანება მისწერა, ეცადეთ, ამი-  
სთანა თხოვნებს ნუ გამოავაზენებთ.

ამას გარდა როგორც საფრანგეთის მმარ-  
თებლობას, აგრეთვე ვრსაც სხვა საზრუნველიც  
აქვს. შარშანდელი შერცხვენის შემდეგ, ვინ  
იფიქრებდა, რომ ნაპოლეონი ხელახლად გა-  
მოჰყოფდა თავს და საფრანგეთის ტახტზე და-  
ჯდომას მოიფიქრებდა. მაგრამ ამ უკანასკნელ  
დროს დიდი იმედი მიეცა თურმე იმას და იმის  
მომხრებები დიდ მოძრაობაში და მეცადინეო-  
ბაში არიან. ამბობენ, ნაპოლეონის მომხრე-  
ებს ძალით საფრანგეთის ხელში ჩაგდება გა-  
სწავლანდა. მაგრამ ნაპოლეონი ისეთი იმედი-  
თაა თურმე, რომ უთქვამს, რა საქირაა ძა-  
ლით მოქმედება, როდესაც ხალხი თავის ნე-  
ბითაც დამარბუნებს მე საფრანგეთში.

— სექტემბრის 20 (8) პარიზის სამხედრო  
სასამართლოს რომშარის საქმეზე ჰქონდა  
სხდომა. რომშარი ამტკიცებდა, რომ იმას,  
არა თუ არავითარი მონაწილეობა არ მიუ-  
ღია მომუშაოში, ცნობაც არ ჰქონია იმის წევ-  
რებთან. ის ძალიან მსურველეთ იმართლებდა  
თავს და სხვათა შორის სთქვა, რომ იმას

უყურებდნენ ერთმანეთს. არეულები ერთმანეთ-  
ში ქალები, ყმაწვილები, მოხუცებულები,  
გლახები, ჭაბუკები, ვაჟკაცები, სხვა და სხვა-  
ნაირის ტანსაცმელებით, ემზავებოდნენ უც-  
ხო ქვეყილების ბუკეთებს. ჩვენ, ე. ი. აზნაუ-  
რობა და სასულიერო წოდება, ვისხედით ზე-  
მოთ სახლებში. ამ სახლების გვერდით იქვე  
აღმართება ერთი მცირე მთა, რომლის წვეტ-  
ზედაც სდგას პატარა გალანაიანი კოშკი, წო-  
დებულები ბაილეთის ციხეთ, და რამდენი-  
მე სახლები. შერად-მწვანესა და მშენიერ  
ირგელივ შემოხვეულ ტყეებს შუა, მყურე-  
ბელის ჰგონია, თითქო ეს კოშკი განგებ იყოს  
ადამიანის ხელით ასრე კეკლუცად მართული.  
სახლების ბალკონიდან წინ ხედავთ თვალ-უწ-  
დამ სახან-სათეს ველებს, რომლებთ საშუ-  
ალ ადგილას მოიგრიხება კარგი, მოზრდილი  
სუფსების მდინარე. პირები მისი ღელდემიან  
რა სხვა და სხვა ფრის მცენარეებით, აივდე-  
ბენ მრავალს სულს კარგის მოსავლით; ამათ  
ქათების ბეწვეულივით გარს არტყია მწვანე  
ტყეები და ყველანი ესეები ერთად წარმოად-  
გენენ სასიამოვნო რამე შესახედობას. დამე-  
თანხმეთ, რომ შემდეგ მცირის მაკიონის და  
დარდინანობისა, ამ უცხო ადგილას, არ იყო  
კული სამეოხებელი კარგი სადლიო. მე დარ-  
წმუნებული ვარ, ყველა იქ მყოფებმა სწო-  
რეთ გულით უსურვეს მიცვალებულს აბრა-  
ამის წილი, უმეტეს სამღვდლოებამ და გლა-  
ხაკებმა, რადგანაც, მოგვხსენებთ, ეს ორი  
წოდება ძლიერ მოყვარულია მდინარის სუფ-  
რისა.

თუმცა ტირილი, მწუხარებითი შემთხვევე-  
ბი და საზოგადოდ ამ გვარი ამბები არაფერი  
საგაზეთოა, მაგრამ მე იმისთვის გწერთ სა-  
კუთრად, რომ ეს არის პირველი მაგალითი  
მურიაში, ძველებური ტირილის თავის დანე-  
ბების, რის მოსაზრისაც ბევრი მსურველები  
არიან, განსაკუთრებით ახალი თაობა, რომ-  
მელსაც მხოლოდ სიმართლით ეკუთვნის  
განაგებდეს მსოფლიო საქმეებს. ღმერთმა  
ინებოს, ამ ჩინებულ მაგალითს თავად  
ისე მურიელისას სხვებმაც მიბადონ.

მამია ბურიელი.

ამ თვის 20-ს მთელი ველირსა იმ ბედნი-  
ერებას, რომელსაც დიდი ხანია მოუთმენლათ  
მოკლოდა და რისთვისაც დიდ მზადებაში იყო.  
ორშაბათს, ნასადილვის 4 საათზე, ხელმ-  
წიფე იმპერატორი, თავის უაღვ-  
სტოესი შეილებითა და დიდი მთა-  
ვრით ძავეკასიის ნამესტნიკით, შე-  
მობრძანდა ჩვენ ქალაქში. მთელი ქალაქი  
გაეგება თავის მოწყალე ხელმწიფეს და  
არა თუ მთელი ქალაქი, ვინ იცის, რამდენი  
იყვნენ სოფლებიდან და მოშორებული ალა-  
გებიდან, რომ ერთხელ მაინც შეხვდნათ დი-  
დი ხელმწიფისათვის.

ქალების კურსები მთელი კლასიკურს  
გინაზიანთან სექტემბრის 27-ს გაიხსნება და  
ამიტომ ამ კურსების გამგებლები კურსების  
მსმენელ ქალებს სთხოვენ სექტემბრის 26-ს  
მივიდნენ კლასიკურს გინაზიაში მოლოდინაზე.  
ამ წელს კურსებზე შემდეგ საგნებს ასწავლი-  
ან: რუსულ ენას და რუსულ ლიტერატურას,  
მათემატიკას, ისტორიას, გეოგრაფიას, ფიზი-  
კას და ქიმიას.

ამ დღეებში გამოვიდა მთელისში პირველი ტომი  
უფ. ზეიდლიცის გამოცემული წიგნისა, სახელათ:  
„ძრება ცნობებისა ძავეკასიაზე.“ ამ  
წიგნში ბევრი საინტერესო ცნობები და რიცხვებია მო-  
ყვანილი ჩვენი მხრის გზებზე, ვაჭრობაზე, ბუნებაზე და  
ძველ და ახალ მდგომარეობაზე. ისევეა ალადაო-

ვის და მარათის წიგნის მალაზიებში 2 მან. და  
50 კაპ.  
\* \*  
„მოსკოვის უწყებებში“ სწერენ, რომ, რა-  
დგანაც მრევნის გუბერნიაში 10,000 დესე-  
ტინა მიწა გაიციმა არენდით, ამის გამო, რა-  
გორც ჩვენ ვაიგონეთ, ამ ხმელ ადგილზე  
არაქსიდან სარწყავი არხი უნდა გაიყვანონ.  
\* \*

## რუსეთი

ყურადღების ღირსი საზოგადოება.

მ. ღერბტში შემდგარა ერთი საზოგადოე-  
ბა, რომელიც განსაკუთრებით ჩვენთვის მარ-  
თლაც რომ სრული ყურადღების ღირსია. პი-  
რას იწერება ამ საზოგადოებაზე ღერბტადამ  
ერთი რუსული ვაჭრის კორრესპონდენტი:  
„აქაურ მასწავლებლებმა—ესტებმა „მო-  
წიგნე ესტების საზოგადოების“ გამართვა  
განიზახნეს, რომლის დანიშნულება იქნება—  
თავის მშობლიური, ესტური, მწიგნობრობა გა-  
ავრცელოს ესტებში. საზოგადოების წესდებუ-  
ლება (უსტავი) ორი მუხლისაგანა შემდგარი:  
1) მოწიგნე ესტების საზოგადოება“ საყოველ-  
თაო სასარგებლო წიგნებს გამოცემს ესტურს  
ენაზე. ამ წიგნებმა ნემცური წიგნების ალაგი  
უნდა დაიჭირონ, რომელნიც დღემდე მხოლოდ  
ერთად-ერთ წყაროს შეადგენდნენ, საიდანაც  
ესტებს განათლება და უმაღლესი სწავლა უნ-  
და მიეღოთ; ამ მშობლიურ ენაზე დაწერილი  
წიგნების წყალობით, ესტები იძულებულნი  
აღარ იქნებიან ბევრი დრო და ფულიები და-  
ხარჯონ ჯერ ნემცური ენის სწავლაში და  
მერე, ამ ენის საშუალებით, უმაღლესი სწავ-  
ლის მიღებაში. ამ სასარგებლო წიგნების სა-  
შუალებით, საზოგადოებას იმედი აქვს—უფ-  
რო განიერთ, მკვიდრათ და ადგილათ გა-  
ავრცელოს ხალხში განათლება, ვიდრე ახლა  
უცხო ენის წიგნებით ვრცელდება. 2) ამ და-  
ნიშნულების ასარულებლათ საზოგადოებამ  
აი როგორ უნდა იმოქმედოს: ა) თავის ხარ-  
ჯით უნდა გამოსცეს ესტურს ენაზე ყოველ-  
გვარი წიგნები: სახელმძღვანელოები, შკოლე-  
ბისთვის, ლექსიკონები, საინტერესო მოთხ-  
რობები, რომანები და სხ. ბ) საჩუქარი უნდა  
დანიშნონ ამ პირებისთვის, რომელნიც ვრტურს  
ენაზე კარგს რამე თხზულებას დასწერენ. გ)  
რუსეთში და სხვა ქვეყნებში თავის ხარჯით  
უნდა გაგზავნონ რამდენიმე პირი უმაღლესი  
სწავლის მისაღებად და სხვა და სხვა მცნი-  
ერებაში გასაწვრთნელად. დ) საზოგადოებამ  
თავის წევრებისთვის ბიბლიოთეკა, მუზეუმი და  
სხვა სასარგებლო დაწესებები უნდა გამართოს.

ამ საზოგადოებაში წევრათ ყველას მიიღე-  
ბენ, ვინც კი წელიწადში ორ მანეთს შეი-  
ტანს. წესდებულება პეტერბურღში გაუგზავ-  
ნით მთავრობასთან დასამტკიცებლათ.

ყურადღების ღირსია ჩვენთვის ეს საზოგა-  
დოება, თუ არა როგორ გგონიათ, ჩვენშიც  
რომ ამისთანა საზოგადოება გაიმართოს, სარ-  
გებლობას არ მოუტანდა ჩვენ უმეცრებას?...  
\* \*

ამ უკანასკნელ დროს ჩვენ სატახტო ქა-  
ლაქებში, პეტერბურღში და მოსკოვშიაც,  
დაარსდნენ ისეთი ქალების საზოგადოებები,  
რომლის მსგავსიც მეროპაში უთვალავია და  
რომლის დანიშნულება არის, რომ შეუმსუ-  
ბუქოს ქალებს გაჭირებული და ხელ შეკრუ-  
ლი მდგომარეობა. სამზღვარს გარეთ ათასი  
ქალების და კაცების საზოგადოებებია, რომე-  
ლნიც სცდილობენ, რომ ქალებსაც ყველა ის  
უფლება და თან ვალდებულება მიენიჭოს,  
რაც კაცს აქვს. რუსეთში ამისთანა საზოგა-  
დოებები არ არის, მაგრამ მის ნაცვლათ სხვა  
საზოგადოებები არიან, რომელთაც სწორეთ  
თუ მრუდეთ ისე დანიშნულება აქეთ, რომ  
ღვთისგაჩენილს ქალს ყოველი კაცური მოქმე-  
დებისა და შრომის უფლება ჰქონდეს. სხვათა

შორის პეტერბურღში და მოსკოვში არის  
„ბაეშეების აღმზრდელი და მასწავლებელი  
ქალების საზოგადოება“, რომლებშიაც ბეე-  
რი კაცები და ქალები არიან წევრათ. მო-  
სკოვის „საზოგადოებაზე“ ერთი პეტერბურღე-  
ლი ვაჭრის კორრესპონდენტი აი სხვათა  
შორის რას იწერება: „ჩვენი ქალების საზო-  
გადოება, თუმცა სულ ერთი წელიწადი არ  
არის ჯერ რაც დაარსდა, მაგრამ ახლავ იხე  
მაგრათ დადგა ფეხზე და საქმეები ისე კარ-  
გათ მიჰყავს, რომ ეტყობა ხანგრძლივი და  
ნაყოფიერი ცხოვრება და მოქმედება ექნება.  
ამ შემად „საზოგადოებამ“ თავის წევრების-  
თვის პედაგოგიური ლექციები გამართა, რომ-  
მელზედაც აქაური საუკეთესო მასწავლებლე-  
ბი ჰკითხულობენ ქალებისთვის გინაზიის  
საგნებსა. ამ საზოგადოებაში ითვლება ამ  
ქამად 500 (ხუთასი) წევრი, მომეტებული  
ნაწილი ახალგაზდა ქალები. საზოგადოების  
(კამიტეტი) გამგებლები ვალდებულნი არიან  
თავის წევრებს რაიმე საშუალო უმოგონ, მა-  
გრამ შესანიშნავი ის არის, რომ არცერთი  
ქალი, თუ ძალიან გაჭირებული არ არის, გუ-  
ვერნაქათ არ მიდის, რადგან გუვერნაქობას  
ბევრი, ხშირათ არა სასიამო, შრომა მოსდევს  
და ჯილდო კი ძალიან ნაკლები. ამის გამო  
უკანასკნელ დროს კამიტეტმა ვაჭრების და  
ჭურჭალების გამოცემლებსა და რედაქტო-  
რებს მოვლაპარაკა იმის თაობაზე, რომ, თუ  
რაიმე უცხო ენებშიც გადასათარგმნავი იქნეს,  
ჩვენ მოგვეცითო. მაგრამ, რასაკვირველია,  
ვერც მარტო ეს ერთი საქმე დაკმაყოფი-  
ლებს ამდონი ქალებისაგან შრომის მოთ-  
ხოვნილებას.

რუსეთის სამართლ-მადიდებლო მონასტრე-  
ბისთვის, როგორც ერთი რუსული ვაჭრის  
იწერება, მალე ახალი წესდებულება გამოვა.  
ეს წესდებულება უფრო სინოდისაგან გამოი-  
ცემა. იმის ძალით, შემდეგში როგორც საქა-  
ლებო აგრეთვე საკაცებო მონასტრებში მო-  
ნაზვნებს და ბერებს ჯამაგირი აღარ ექნებათ;  
მის ნაცვლათ ყოველი შემოსავალი მონასტ-  
რის საზოგადო კასისა თანასწორათ გაიყოფა  
მონასტრის წევრებს შუა. ამას გარდა სხვა-  
ფრივაც მონასტრებში საზოგადოთ ერთნაირი  
ცხოვრება დაწესდება. მაგრამ ყველაზე საუკე-  
თესო მუხლი ახალი წესდებულებისა ისაა, რომ  
შემდეგში მონაზვნები თავის უფროსს თეი-  
თანვე ამირჩევენ.

პეტერბურღის ნემცებს ერთ თავის ეკლე-  
სიასთან ისეთი შკოლა გაუშართათ, სადაც  
პატარა ქალები და ვაჭები ერთად სწავლობენ.  
ამ შკოლაში სწავლა ძალიან კარგათ და თა-  
დარიგანათ მიჰყავთ თურმე და ამას ქალ-  
ვების ერთად ყოფნა, რასაკვირველია, თუ ეს-  
მარება, თორემ არას ენებს.

მრთს რუსულ ვაჭრებში სწერენ, რომ წელს  
ათასმა ახალგაზდა ყმაწვილმა გააცხადა ტეხ-  
ნოლოგიურს ინსტიტუტში შესვლის სურვი-  
ლიო. მს გარემოება ცხდათ გვიმტკიცებს,  
თუ როგორ მისდევს ახალგაზდაობა ისეთ  
სწავლას, რომელიც პირდაპირ ცხოვრებაში  
გამოსაყენებელია.

ბიევის ქალაქის თავმა (გალავამ) უფ. ღემი-  
ლოვმა 70,000 მანეთი შეწირა ამ ქალაქს  
ისეთი სახლების გასაშენებლათ, სადაც და-  
რბი მოსწავლეები და მოსამზახურე პირები  
უნდა დადგნენ. ამას გარდა უფ. ღემილო-  
მა გამოაცხადა, რომ 5,000 მან. ესწირავ ქა-  
ლების გინაზიისთვის სახლის გასაკეთებლა-  
თაო.

რომელიმე დანაშაულობისათვის კი არ ამტყუნებენ, ამტყუნებენ ისეთი აზრებისთვის, რომელიმე მმართველობას არ მოსწონს. ამას გარდა რომ შორსა სთქვა, ჩემ დღეში არ წამიქვებია ხალხი, რომ ტიერის ან სხვისი ვისმე სახლი დაეკციოთ პარიჟში.

— სამხედრო სასამართლომ მომუშაო მოთავეობისთვის ამ უკანასკნელ დროს სამს პირს გადაუწყვიტა სიკვდილით დასჯა: როსს, ჭერესა და ლულიეს. ამ გადაწყვეტილებებზე, რასაკვირველია, ყველამ ახლაცა შეიტანა; ახლა სწერენ, რომ სამხედრო სასამართლოს გადაწყვეტილება, როსსის თაობაზე, უმაღლესმა ინსტანციამ დაარღვია და მეორე სასამართლოს გადასცა იმის საქმეო. მგრაჲ ამ ორი დამნაშავეს პატივზე არაღის იმედი არა აქვს. საქმე იმნაირათა წყაყინილიო, რომ იმათ სიკვდილი არ ასცდებაო. ლულიე კი ექიმებს გიჟთ უცენათ და ამიტომ ამას აღარ დასჯიან. ამათ გარდა აგრეთვე კომუნაში მონაწილეობის მიღებისათვის სამხედრო სასამართლოს სამი ქალის სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტია, მაგრამ შემდეგ ეს სასჯელი იმათთვის სამუდამოთ ციხეში ჩამწყვედევთ შეუცვლიათ. — ლორუს ქერიეი, ის ახალგაზდა, ლამაზი და შესანიშნავი ხასიათის ქალი, რომელიც გაზეთების ქებით შეიყვარა ერთმა ინგლისელმა და სურდა შეერთო, სამხედრო სასამართლოს გადაწყვეტილებით, სამუდამოთ უნდა გადაასხლონ სადმე მოშორებულ ქვეყანაში.

— პარიჟის ვაზეთებში სწერენ, რომ იქ ხელუხლებელათ და უშიშრათ დღემდი ვერა გრძნობს კაცი თავის თავსაო: თითქმის ყოველდღე ახლაც იჭერენ და ატუსაღებენ თურმე ზოგიერთ უბნებში მოქალაქეებს, რომელთაც ქომაქნაში მონაწილეობის მიღებას აბრალევენ.

— ლონის მუნიციპალურ რჩევაში, სექტემბრის 16 მთავარაკება იყო უკანასკნელს პრების გადაწყვეტილებებზე, რომლის ძალითაც ნაციონალური გვარდია ყვიღან, საფრანგეთში, უნდა დაითხოვოს. მართი წერი მუნიციპალიტეტისა საშინელ უკმაყოფილებას აცხადებდა ამ კანონზე; ის ამბობდა, სჯობს დაეანგოთ თავი სამსახურს, ვიდრე ამ ნაირ კანონს დაეხორჩილიათო. იმავე დღეს ქალაქში დიდი მოძრაობა იყო ამ საქმეზე, ხალხი ჯგუფ-ჯგუფათ დაიარბოდა, მაგრამ არეულობა კი არ მოხდარა.

— ლონში, სენტ-პიერში და ნიშში ნაციონალური გვარდიისთვის თოფ-იარაღი ჩამოურთმევიათ და ამ დროს ამ ქალაქებში არაერთი არეულობა არ მოხდარა.

— შრანცუხულ ვაზეთებში სწერენ, რომ მარშალი ძანრობერი, რომელიც ისეთი ერთგული თანამეცხედრე იყო ნაპოლეონის III-სა, ტიერს ლუარის არმიის სარდალათ (წინამძღოლათ) დაუნაშნავს და კიდევ მისულა ბურჟუაში, სადაც ამ არმიას სადგომი ექნება. უკანასკნელ დროს მმართველობა წშირათ უმაღლესს ადგილებზე ისეთ პირებს ნიშნავს თურმე, რომელნიც ნაპოლეონის ერთგულნი ყმები და მომხრენი იყენ და არიან. ეს გარემოება რესპუბლიკელებს, რასაკვირველია, არ მოსწონთ და ამიტომ ტიერს ხეირიანი თვალთ არ უყურებენ.

— მრთს ფრანცუხულს ვაზეთებში სწერენ, რომ 10,000 რენის გზის მუშაზე თხოვნა შეიტანა ნაციონალურ პრებაში და საზოგადო მუშაობის მინისტრთან, რომელშიაც ისინი აცხადებენ თავიანთ ვაჭირებულ მდგომარეობას და თხოულობენ, რომ ასოციაციების და ურთიერთის დახმარებელი საზოგადოებების შედგენის ნება მოგვეცესო.

**ინგლისი**

ამ ქჲმად ინგლისს თავის ძველებური ჭირი, ფაბრიკანტებსა და მუშებს შუა განხეთქილება, აწუხებს: რამდონსამე დიდ ქალაქებში,

სადაც ფაბრიკა და ქარხნებია, მუშებს პირობა შეუყრავთ, რომ, სანამ ჯამაგირს არ მოუმატებენ, მანამ ნუ ეიმუშაებთო. სექტემბრის 13-ს ლიდში ქვის მტრეველ მუშებს მიტიინგი ჰქონიათ და გადაუწყვეტიათ, დღეში ცხრა საათის მეტს ნუ ეიმუშაებთ და ჯამაგირი კი რაც აღრე გექონდა, ის უნდა დაგვიჩესო. სამხრეთი შელსის ქვის-ნახშირის 35,00 მუშებს თავის დებუტატები გაუგზავნიათ პატრონებთან და უთხოვნიათ, რომ მანეთის მაგიერათ დღეში მანეთი და ათი კაპეიკი უნდა გვედოოდესო. ამას გარდა ნიუკესტლის მენახიკებსაც პირი მიუციათ ერთმანეთისთვის და ეს ოთხი თვეა 8,800 კაცი არ მუშაობს ქვის ნახშირის მანდებზე და უმეტეს ნაწილს იმათგანს სხვა საქმისთვის მოუკიდნიათ ხელი. ქვის ნახშირის პატრონებს სხვა ქვეყნებში მოუყვანიათ მუშები, მაგრამ ძველ მუშებს სამგზავრო ფულები მიუციათ იმათთვის და უკანვე აბრუნებენ. ამანირივე პირის შეთქმა არის ამ ქჲმად აგრეთვე ბედწარდის საღებავ ქარხნებზე და სხვაგან ბევრ ალაგასაც.

**იტალია**

იტალიის მმართველობამ ამას წინეთ რამდონიმე „ხალხთა-შორისი მუშების საზოგადოების“ წევრები დაატუსაღა ნეაპოლში. ამასთახავე მმართველობას ჩაუფარდა ხელში ზოგიერთი ქალაღებში, რომლიდანაც შეიტყუა, რომ, თუმც ამ საზოგადოების ცენტრალურ კამიტეტს ლონდონიდან რამდონიმე აგენტი გამოგზავნა იტალიაში, რევილიუციური აზრების გასავრცელებლათ, მაგრამ ბერი მომხრეები მინც იქაურ მუშებში ვერ უშოვნია. სულ იტალიაში 10,000 წევრია ამ საზოგადოებისა. მრთი იტალიური ვაზეთი ერთლათ განიხილავს ამ საზოგადოების დანიშნულებას, ღონის-ძიებას და მოქმედებას და ბოლოს ამბობს, რომ „მართალია, ეს საზოგადოება ხანდისხან საშინელის უფურთრებით, თავხედურათ და კაცობრიული გრძობის შესაძრწუნებლათ იქცევა, მაგრამ ამის თავი მიზეზი ის ცუდი ეკონომიური და სოციალური მდგომარეობა არის, რომელშიაც ამ ქჲმად მუშახალხი იმყოფებაო.“ და ამიტომ ეს ვაზეთი, დატუსაღებისა და დაჯის მაგიერათ, მთავრობას ურჩევს მუშების საზოგადოთ ვაჭირებულ მდგომარეობას მიაკციოს ყურადღება. „როდესაც მუშებს ვაჭირებულ ცხოვრებას შეუმსუბუქებთ, ამბობს ბოლოს იტალიური ვაზეთი, როდესაც თანხის პატრონებს არ მისცემთ ნებას, რომ ღარიბი კაცის შრომით, და ოფლით სარგებლობდეს, როდესაც ზოგიერთ სხვა სამართლიან მუშების მოთხოვნებს დააკმაყოფილებთ, მაშინ დარწმუნებული იყავით, ისინი არც ამისთანა საშინელ საზოგადოებებს შეადგენენ, როგორიც „ხალხთა შორისი მუშების საზოგადოება“ და არც სხვაფრივ მოინდომებენ თავის ქვეყნის მშვილობიანობის შერყევას.“

**გერმანია**

პრუსიისა და აესტრიის გარეშე საქმეების მინისტრებმა მერობის ყველა სახელმწიფოებს აცნობეს, რომ ჩვენი იმპერატორების ერთმანეთის ნახვას ლაშტინში და ზალცბურღში მხოლოთ ის მნიშვნელობა ქონდაო, რომ პრუსიასა და აესტრო-ვენგრას შუა თანხმობა და მეგობრული განწყობილება დაემკვიდრებინათო. ამასთანავე შემოხსენებული მინისტრების ცირკულიარებში გამოცხადებულია, რომ აესტრიამ და პრუსიამ ერთმანეთში პირობა შეკრესო, რომ ყოველ პოლიტიკურ საქმეში ერთად, თანხმობით, ეიმოქმედოთო.

**ამერიკის უმართებული შტატები**

პრცერთ ქვეყანაში არ მეცადინებენ ისე ქალები თავის კაცების დამოკიდებულები საგან განთავისუფლებისათვის და ამის გამო

იმათ იმდენი უფლებები არსად არ მტყუნიათ, როგორც ჩრდილოეთ ამერიკაში. საქმე იქამდი მივიდა ახლა, რომ ერთმა გამოჩენილმა ქალმა — ტენნი პლენდინმა — გამოაცხადა, რომ მომავალ კონგრესში ამოაჩენის დროს კენქს ვიყრი, დებუტატობა მინდაო. ტენნი პლენდინი ახალგაზდა 25 წლის ქალია, ის სცხოვრებს ნიუ-იორკში, სადაც სცემს ვაზეთს, რომელშიც მუდამ ქალების სასარგებლო აზრებს ქადაგობს. აგვისტოს 11 იან ერთ მიტინგზე წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც ამტკიცებდა, რომ, ჩვენი კონსტიტუციის ძალით, ქალებს კაცებსავით აქეთ კონგრესში დებუტატობის უფლებათ. „მრთი მითხარით, ჰკითხა პლენდინმა თავის მსმენელებს, რატომ არ შემიძლია მე, ქალი, დებუტატის ამორჩევაში მონაწილეობა მივიღო? მაშ, თუ ამომრჩეულათ შემიძლია ვიყო, რათ არ შემიძლია რომელიმე საზოგადო თანამდებობა ვიკისრო და ავასრულო! იქნება თქვენ გეგონათ, ქალმა რომ საზოგადო საქმეებს ხელი მოჰკლდოს, ეს საქმეები რიგინათ ვერ წავლენ? მასინჯეთ, ერთხელ მინც გასინჯეთ, მინდეთ ქალს რომელიმე ისეთი საქმე, რომელიც დღემდი მხოლოთ კაცს ჰქონდა მინდობილი და თუ ეგრ ასრულებს, მაშინ გექნებათ ამის თქმის უფლება. ნუ გგონიათ, რომ თქვენ შეიძლოთ ქალების წადილის მოსპობა, იმ წადილის, რომლისკენაც, კანონს გარდა, ყველა კეთილგონიერი კაცები დგანან. ამომირჩიეთ მე დებუტატოთ და დარწმუნებული იყავით, ჩემი მუდამი მეცადინეობა ის იქნება, რომ თქვენ ყველასი თავისუფლება დაუმოკიდებლობა დაგიცუვა. ნუ იფიქრებთ, რომ მე არ მიმიღებენ კონგრესში; კონგრესს ჩემი უარის თქმის საფუძველი არ იქნება, თუკი თქვენ ხმის უმეტესობით ამომირჩევთ. მაშ ამომირჩიეთ, ამით თქვენი ქვეყნისათვის სამაგალითო საქმეს იზამთ!“

**ნარკვი**

\* \* \*  
საფრანგეთის იუსტიციის მინისტრმა გამოაცხადა 1869 წლის ცოლ-ქმრების თაობაზე შედგენილი საქმეების ანგარიში. ამ ანგარიშიდან სხვათა შორის ხანს, რომ მართა შემოხსენებული წლის განმავლობაში 3,056 ცოლ-ქმრის უთხოვნიათ ვაგვაშორეთ ერთმანეთსაო და ამ რიცხვიდან 2,999 ცოლ-ქმარი მოუშორებიათ ერთმანეთისთვის. 445 თხოვნა განშორებისა ქმრებს შემოუტანიათ და 1,166 — ცოლებსა. ამ საქმეში უფრო შესანიშნავი ის მიზეზებია, რომლის გამოც ცოლ-ქმრები განშორებას თხოულობდენ: 147 ქმარი უჩივოდა ცოლს, რომ მიღალატაო; 65 ცოლი უჩივოდა ქმრებს ამავე დანაშაულობისთვის. დანარჩენი განშორების მიზეზები უმეტესი ნაწილი ერთმანეთის უატიურობის მიყენება, ლანძღვა, ან ცემა იყო.

\* \* \*  
ინგლისის მთავრობამ დიდი ბრიტანიის მცხოვრებლების ანგარიში გამოაცხადა რომლიდანაც ხანს, რომ ინგლისში და შელსში 22,70, 108 მცხოვრებელი ითვლება. შესანიშნავია, რომ ქალები 623,302 — ით უფრო მომეტებული არიან, ვიდრე კაცები.

**განცხადება**  
პირველ დაწამებითი შოკლა და გავშავის ბალი უ. სიმონოვიჩის ცოლისა

შოკლაში და ბალში ორივე სქესის ყმაწვილები მიიღებია: შოკლაში 7 წლიდან ვიდრე 11-ამდი და ბალში 4-იდან 7-დამდი. სწავლის ფასი შოკლაში 60 მან. წელიწადში და ბალში — 4 მან. თვეში. მისაც ყმაწვილების შეყვანა შოკლაში ან ბავშვების ბალში უნდა, შეუძლია მოვლაპარაკოს სიმონოვიჩის ცოლს დილის 10-დამ ნასადილევის 2-სათამდი. შოკლა იმყოფება სოლოლაკში, სვენიკოვის სახლებში, ძველ ინსტიტუტის ქუჩაზე.

**პოპუარი**  
ქართული სიმღერებისა,  
შეგანილი  
თ. დავით მარისთავისაგან  
ისყიდება: თფილისში, ლანკას მაღაზიაში,  
და ქუთაისში უფ. ხარაზოვის მაღაზიაში.  
ფასი ერთი მანეთი.

შამოვიდა და ისყიდება თფილისში  
ალადათოვის, მნფაჯიანცის და მარ-  
თანოვის მაღაზიებში და მელიქიშვილის  
სტამბაში:  
**წიგნი**  
**სიბრძნე სიცრუისა**  
ტიქმული  
სულხან-საბა ორბელიანისგან  
გამოცემა მეორე, სრული  
პეტრე უმიკაშვილისა  
ფასი ათი შაური  
ქუთაისში გაისყიდება სვიმონ ჩომა-  
ხიძისას, პრინცის სტამბაში.

მიღებულია თფილისში და ისყიდება  
ალადათოვის და სხვების წიგნების მაღა-  
ზიებში:  
**ჩონგური**  
ნიკოლოზ ბარათაშვილისა, ილია  
ჭავჭავაძისა, აკაკი წერეთლის და სხვა  
მწერლების ლექსების კრება  
გამოცემული  
პირილე ლორთქიფანიძისაგან  
ფასი ერთი მანეთი

ისყიდება თფილისში ალადათოვის და მარ-  
თანოვის წიგნის მაღაზიებში.  
**გავუშავის მოვლა**  
ღარიგება ყმაწვილების მოვლისა — თხზულე-  
ბა ინგლისის კოროლევის დოქტორის ძომბისა.  
ფასი ათი შაური